საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 005767/20

08/09/2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარეს
ბატონ **ელგუჯა ბაგრატიონს**

ბატონო **ელგუჯა**,

თქვენი 2023 წლის 5 სექტემბრის N09-02-16/515 წერილის (შიდა ნომერი და თარიღი: N5713/20, 05.09.2023) პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შპს „ლისინ ტრეიდინგს“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიეცა თანხმობა 2023 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე „ანბანის კოშკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატაროს ტურიზმისათვის მხარდამჭერი ღონისძიება „ბათუმის ფესტივალი“.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის საფუძველზე, დასრულებულ საანგარიშო პერიოდზე ატარებს ფინანსურ, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტებს. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე აუდიტის ჩატარება განხილული იქნება 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმის შემუშავების პროცესში, არსებული რისკების შეფასების, მეთოდოლოგიისა და აუდიტორული რესურსის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

კახაბერ კირტავა
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195